



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/181

ქ. თბილისი

17 ივლისი 2018

2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სტუ-ის დოქტორანტურაში მიღების
შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ივლისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (იხ. დანართი 1);
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
4. დამტკიცდეს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების და თანამდევი დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები; უცხო ენაში და დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიების შემადგენლობა;
5. ჩარიცხვა დასრულდეს 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე